



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 363

15/02/2018

ქალაქი ბათუმი

363-05-4-201802151510



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 23,94 კვ.მ №4 კომერციული ფართის (ს/კ 22.26.09.269) სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე განმეორებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №82 განკარგულებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 13 თებერვლის №471-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 23,94 კვ.მ №4 კომერციული ფართის (ს/კ 22.26.09.269) სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემა განხორციელდეს განმეორებით ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 23,94 კვ.მ №4 კომერციული ფართის საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1723,68 (ათაშვიდასოცდასამი ლარი და სამოცდარვა თეთრი) ლარის ოდენობით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 23,94 კვ.მ №4 კომერციული ფართი სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გაიცეს სამი წლის ვადით.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ განისაზღვროს 518 (ხუთასთვრამეტი) ლარის ოდენობით.

5. „ბიჯი“ განისაზღვროს 52 (ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 23,94 კვ.მ №4 კომერციული ფართის სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

